398
ბ-926

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მზია აკაკის ასული სუდაძე

შელოცვათა პოეტიკა

10. 01. 09 - ფოლკლორი

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი- 1997

შემოსულია № 108
„01" 12 1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ჯონდო ბარდაველიძე- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ექსპერტი:
აპოლონ ცანავა- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:
1.როსტომ ჩხეიძე- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2.ქეთევან სიხარულიძე- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

წამყვანი ორგანიზაცია:
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის "24" დეკემბერს 14⁰⁰ საათზე
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
/P10.01 № 3 / სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბ-
ლიოთეკაში მისამართზე: 380008, თბილისი, მ.კოსტავას ქ.№5

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის 24 ნოემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიის

ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა

ხალხური შემოქმედება ერის თვითმყოფადი სულის, მისი იდუმალი არსის ემანაციაა, სადაც ხალხის მიერ უშუალოდ, გზნებით, განცდითა და გრძნობადად შემეცნებული სამყაროა ასახული. იგი განუყოფელია თავისი ხალხის აზროვნების, სულის ისტორიისაგან. სწორედ ზეპირსიტყვიერებაში ცნაურდება ერის მსოფლმხედველობა, გრძნობები, ფიქრები, ხმიერი და ვიზუალური შთაბეჭდილებანი, მის მიერ აღქმული გრძნობადი თუ ხილული ქვეყანა, მისი ოცნება და იდეალი. მარადიულისა და შეუცნობელისაკენ გაჭრილი სულის ქროლვა ყველაზე უფრო სრულყოფილად ზეპირსიტყვიერი შემოქმედების უმშვენიერეს და უმდიდრეს პოეტურ სამყაროში პოულობს გამოხატულებას.

ხალხურ ლექსებში, ზღაპრებში, ლეგენდებსა თუ გადმოცემებში არსებული ეპითეტები, შედარებანი, მეტაფორები, სიმბოლოები თუ რიტმული კომპოზიციები ოდითგანვე შეიცავდნენ კოდირებულ ინფორმაციას,რომელთა მიღმაც მოიხილება უძველეს ადამიანთა მსოფლმხედველობრივი, ეთიკური თუ ესთეტიკური პრინციპები.

ხალხური შემოქმედების მშვენიერი და მრავალისმეტყველი ხატოვანი აზროვნების ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს შელოცვები. მის უაღრესად მდიდარ, სპეციფიკური ელფერის პოეტურ სამყაროში ფიგურირებს მხატვრული მეტყველების სხვადასხვა სახეები: ეპითეტები, შედარებანი, გრადაცია, ჰიპერბოლა, სხვადასხვა სიმბოლურ ნიშანთა მრავალფეროვანი სპექტრი დ.ა.შ...

ესაა უცხო განზომილებებთან ნაზიარები პოეტური სამყარო, სადაც სხვადასხვა მხატვრულ საშუალებათა მეშვეობით შესაძლებელია შეუმჩნეველის აღმოჩენა და ირაციონალურის მატერიალური სინამდვილის ფაქტად გადაქცევა.

-1585-